პუბლიკაცია

გოტფრიდ მერცბახერი

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფია და მხარეთმცოდნეობა[1]

ძველად, როცა ქრისტიანობა ხევსურეთის მთებისკენ გზას იკაფავდა, ამიერკავკასიაში მას უკვე იცნობდნენ და აღიარებდნენ. მაგრამ მას არ ჰქონდა ფესვები ღრმად გადგმული. ღმერთის წმინდა ცნება ამ ხალხისთვის ბევრად აბსტრაქტული იყო. ქრისტიანობა ვერ გამოდევნიდა ღმერთის შესაცნობად და რიტუალების შესავსებად წარმართობიდან ნასესხებ მნიშვნელოვან რელიგიურ წარმოდგენებს, რომლებიც მათ ტრადიციებს შერწყმოდა. იუდაიზმიდან დარჩა ზოგიერთი ელემენტი მათ წეს-ჩვეულებებში, რომელიც ერთადერთი, უხილავი ღმერთის თაყვანისცემის ნაცვლად, ადრეულ წარმართობას უფრო შეესაბამებოდა. ამ კუთხის სიღარიბის გამო, ეკლესიებისა და მონასტრების აგება, მღვდლების იქ გაგზავნა და მათი შენახვა შეუძლებელი გახდა. ქართული ეკლესიის მასთან დაკავშირება ამაო აღმოჩნდა. ამიტომ საკულტო იერარქიამ ხევსურეთში ისეთი უცნაური განვითარება ჰპოვა და ისეთი სახე მიიღო, როგორსაც თითქმის ვერსად შევხვდებით...

...საზოგადოებაში მაინც ვრცელდებოდა მართლმადიდებლობა. ახლა ბერძნულმა საყოველთაო ეკლესიამ (griechish-katholische) კვლავ გააგზავნა სამღვდელოება და იქ რამდენიმე ტაძარიც ააშენა. მაგრამ ორთოდოქსული ეკლესიის მთელი შრომა ისევ ფუჭი და ამაო აღმოჩნდა. ხალხზე დიდ გავლენას კვლავაც ადგილობრივი კულტმსახურნი (Priestern) ახდენენ. ძველი ზნე-ჩვეულებები ისევ ძლიერია. თემის მთელი ცხოვრება დაკავშირებულია სოფლის სიწმინდესთან

1 XXVII თავი წიგნიდან: Gottfried Merzbacher, Aus den Hochregionen des Kaukasus, Bd. II, Leipzig, 1901. გ. მერცბახერის და მისი ნაშრომის მიმოხილვა იხ. „კადმოსი“ 4.2012. გვ. 431-452.

(Dorfheiligtum), ხატთან, რომელიც თემის წევრებს შორის შემაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს. ხატში ინახება სათემო, წმიდათაწმინდა ძველი დროშა (Die alte, geheiligte Geschlechtsfahne) , რომლის შეხედვაც ჯადოსნურ ზემოქმედებას ახდენს ყოველ ხევსურზე. თითქმის ყოველ ხატს აქვს დიდი ღირებულების მქონე ადგილები, საძოვრები და ა. შ. რომლის შეწირვაშიც თემის თითოეულ წევრს განსაკუთრებული წილი უძევს. ამრიგად, ყველაფერი, მთელი სიმდიდრე, ხატს ეკუთვნის. თემის ყოველი წევრი მატერიალური ინტერესებითაც ხატთან არის დაკავშირებული. კულტმსახურნი (Kirchendiener), გაცნობილნი ხალხის ძველ ჩვეულებებს, ეყრდნობოდნენ რა თავიანთ ძველ ოჯახურ კავშირებს, ყველაფერს მისტიკური საბურველით მოსავდნენ.

ფშავლების, ხევსურებისა და თუშების სალოცავებს (die Heiligtümer) რუსულ ენაზე ჰქვია „კაპიშჩე“ – საკერპე (Götzentempel). მთიელები მას უწოდებენ „ხატს“, რომლიც სალიტერატურო ენაზე წმინდანის ფერწერულ გამოსახულებას აღნიშნავს. იგი ამავდროულად გამოხატავს სიწმინდეს და უმთავრესი სიწმინდის ადგილს წარმოადგენს. ის ადგილი არის წმინდანის საბრძანისი. ერთი სიტყვით, „ხატს“ მთიელ ხალხში აქვს სამლოცველოს (Bethaus), საკურთხევლის (Kapelle), საზოგადოდ, წმინდა ადგილის (Heilige Stätte) მნიშვნელობა. საკრალურობა ადგილისა, სადაც ის იდიდება და წმინდანის პერსონიფიცირება ერთმანეთს ერწყმის. ამიტომ თავიანთ თხოვნას მიმართავენ ხატისკენ, როგორც მბრძანებლისკენ, ბატონი ხატისკენ – ღვთის ნების შუამავალთან. „ხატს“ აქვს სხვა მნიშვნელობაც: ის როგორც ანგელოზი თუ წმინდანი წარმოადგენს პერსონიფიცირებულ ბუნების ძალას.

ამრიგად, განსაზღვრული მნიშვნელობით ხევსურეთის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება ატარებს რელიგიურ ხასიათს. ხევსური კარგავს კავშირს ადგილობრივ ხატთან, როცა ის სხვა თემში გადადის. მაგრამ ის ამით თავის რწმენას კი არ ივიწყებს, არამედ კვლავ ურთიერთობაშია მშობლიურ თემთან და მოდგმასთან, ასევე ის სარგებლობს მისი მკაცრი მფარველობითაც. ორივე მას აძლევს თავდაცვის გარანტიას. ხატი თავის გარშემო ცემენტივით ამაგრებს თემის თითოეულ წევრს. ის გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა წესზე და ბრძანებას იძლევა თავისი მსახურის პირით. არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, არც ერთი საზოგადოებრივი და სისხლის სამართლის საქმე თემში ხატის ზემოქმედების გარეშე არ წყდება.

მფარველი წმინდანის საბრძანისი მდებარეობს ამაღლებულ, ჩვეულებრივ, წმინდა და ხელშეუხებლად მიჩნეულ ხეებით დაფარულ ბორცვზე ან მთაზე. იქ დგას საუცხოო სიმაღლის ხეები (მუხა, წიფელი, იფანი) და მის მოჭრას ვერ ბედავენ, გარეულ ცხოველს ხა-

ტის მიდამოში არ კლავენ, იმ ადგილს მხოლოდ ღრმა მოკრძალებით უახლოვდებიან.

მეტად საინტერესო და მიმზიდველი ჩანდა საკულტო ადგილები, რომლებიც გაცხოველებით აღვიძებენ ჩვენს პოეტურ შეგრძნებას და გვგვრიან გარკვეულ მისტიკურ ჟრჟოლას. იგი გვაგონებს გერმანელების წმინდა ჭალას. წმინდა ნაგებობები, რომლებიც იქ მრავლად გვხვდება, მდებარეობს ქვის უსწორმასწორო გალავნის შიგნით. პატარა სამლოცველო აშენებულია უხეში, გაუთლელი ფიქალისგან. მასში ინახავენ მფარველი წმინდანის გამოსახულებას, სათემო დროშას, განძეულობას, ვერცხლის წმინდა ჭურჭელს, საიდანაც დღესასწაულებზე ხატში მოდუღებულ ლუდს სვამენ. იქ ინახავენ, აგრეთვე, ზოგიერთ სხვა საკრალურ ნივთს. ხატის, საკულტო ნაგებობის შუაგულში უმეტესწილად დაბრძანებულია ჯვარი, რომელზედაც ერთი ან რამდენიმე სპილენძის ზარი ჰკიდია და იქვე საკმაოდ უბრალო შეწირული ძღვენი დევს. სამლოცველოს გარეთ, უხეშად გათლილ ბოძზე, ჰკიდია ხატის ჯვარი. აქედან არცთუ ისე შორს, ღობესთან, დგას ფიქალებისგან (სიპი ქვით) აგებული დაბალი და ბნელი საკულტო ნაგებობა. ის გამოიყენება, აგრეთვე, ლუდის გამოსახდელი ჭურჭლისა და სასმისების შესანახად. მთელი ეს ნივთები ჯვარ-ხატის საკუთრებაა და კულტმსახურებისთვის არის განკუთვნილი. იგი მიჩნეულია სიწმინდედ. გვერდით, მაღალი ხის ჩრდილში, აღმართულია ფიქალისგან ნაგები საკურთხეველი. იგი წარმოადგენს დაახლოებით 1,5 მეტრი სიმაღლის ქვის სვეტს, რომელზედაც ჩვეულებრივ უმნიშვნელო ღირებულების შეწირული ძღვენი დევს: სპილენძის სამაჯაურები, პატარა სარკეები, ბროლის ქვები, ზინზილები და ლითონის სხვა ნაკეთობები. ზემოთ დგას ორი თასი და მფარველი წმინდანის ხატი. ხეებზეც ასევე ათასი წვრილმანი და ნაჭრებია ჩამოკიდებული.

საკურთხევლის გვერდით მდებარეობს ქვის ფილებით დაფარული ორმო, რომლის კვადრატულ ჭრილშიც მსხვერპლად შეწირული საქონლის სისხლი ჩაედინება. მის ირგვლივ მიმობნეული ხარისა და ცხვრის ფეხები, აგრეთვე ძვლები, ამ ადგილის ინტენსიურ საკულტო გამოყენებაზე მიგვანიშნებს. ხეებზე აწყვია, ზოგჯერ ჰკიდია, ცხვრისა და ხარის უამრავი თავი. არცთუ ისე მოშორებით დგას საკურთხევლის ფორმის ასევე სიპებისგან აშენებული ნაგებობა. მასზე ფენა-ფენა აწყვია უამრავი, უმეტესად გარეული ცხოველების რქები, რომლებიც იქ მიაქვთ, როგორც ძღვენი. ესენია ირმისა და ჯიხვის რქები. მასზე ჩამოღვენთილი ცვილის უამრავი წვეთების კვალი მოწმობს, რომ დიდ დღესასწაულებზე სანთლებს მათზე ამაგრებენ და ანთებენ. რქების ქვეშ არაერთი საუცხოო ნივთი ინახება, რომლებსაც ხელშეუხებელ სიწმინდედ მიიჩ-

ნევენ. ბევრჯერ ვეცადე, მაგრამ ვერ მოვიპოვე იქიდან თუნდაც ერთი მშვენიერი ეგზემპლარი.

დაბოლოს, იქ არის კიდევ ერთი განსაკუთრებული ნაგებობა, რომელშიც ლუდს ადუღებენ. არყისა და ლუდის დუღება ასევე მიჩნეულია წმინდა საქმედ და მისი მომზადება ხელეწიფებათ მხოლოდ ხატის განსაკუთრებულ მსახურთ – დასტურ-ხელოსნებს (Chati-Dienern, die Dasturi)). თვით ლუდიც ითვლება წმინდა სასმელად. ამ შეხედულებამ შეიძლება მრავალი მიუნხენელი აღაფრთოვანოს. სპილენძისგან დამზადებულ უზარმაზარ ქვაბებს, რომლებშიც ლუდს ადუღებენ, აქვთ გლუვი ფორმა და დახრილი კედლები, როგორც დაახლოებით აღმოსავლურ წყლის ჭურჭელს. ზოგიერთ მათგანში შეიძლება 30 ფუთი ქერი ჩაეტიოს. ქვაბი დიდი ჯაჭვით ჰკიდია ორ დაუმუშავებელ ბურჯზე გადებულ მაგარ ხეზე, რომლის ქვეშაც ძლიერი ცეცხლი გიზგიზებს. აქ საჭიროდ არ მიმაჩნია ლუდის გამოხდისა და ხარშვის მეთოდების დაწვრილებით გაცნობა, რადგან იგი პეტცჰოლდსა და რადეს აქვთ აღწერილი ილუსტრაციების თანხლებით. რადე აქებს ლუდს, რომელიც მან შატილის ჯვარში დალია: „– მე მეგონა თითქოს ნიურნბერგის ან ერლანგენის ახალი ლუდი დავლიე“. პეტცჰოლდიც მაღალ შეფასებას აძლევს ლუდის ხარისხსა და გემოს, არანაკლებ აბიხიც.

არის კიდევ ერთი განსაკუთრებული ნაგებობა (Hütten (Darbazi), რომელიც განკუთვნილია კულტმსახურთა საცხოვრებლად (Die Wohnung und Versammlungsstätten der Diener des Heiligtums). მკაცრად გასაიდუმლოებულია მასში გადამალული წმინდა ნივთები, უმთავრესად, უხეშად დამუშავებული მტრედის ფორმის ვერცხლის თასები და ფიალები, რომლებიც მიჩნეულია სულიწმინდის სიმბოლოდ. თასზე ჰკიდია უამრავი მონეტა და ქალის ლითონის სამკაულები, რომლებიც შეწირულ ძღვენს წარმოადგენს. ზოგიერთ ჭურჭელს აქვს ძველი წარწერა. ნადიმზე, რომელიც დიდი დღესასწაულების დროს იმართება, ხალხი ამ ჭურჭლით სარგებლობს ხატში მომზადებული წმინდა ლუდის დასალევად. ყოველი ცალკეული ხატი განძის მეტ-ნაკლებ რაოდენობას ფლობს. როგორი მოფრთხილება უნდა ამ ძვირფას განძეულობას (ერისთავის ცნობით, მისი ღირებულება ზოგიერთ ხატში 20 ათას ვერცხლის რუბლს აღწევს), რომ ქისტი ქურდებისგან დაიცვან, თუმცა ეს ყოველთვის არ ხერხდება, როგორც ხახმატის ჯვრის გაქურდვამ გვიჩვენა. ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობასთან შედარებით, ხატის სიმდიდრეს შეიძლება, საკვირველი ვუწოდოთ. ხევსურები უძველესი დროიდან მთელ სიმდიდრეს, ლითონის ფულსა და ძვირფასეულობას, სალოცავს სწირავენ (ავტორი სქოლიოში იმოწმებს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას ფშავლებისა და

ხევსურების შესახებ: როცა ისინი ოქროს ან ვერცხლს იშოვნიან, თვითონ კი არ იტოვებენ, არამედ ხატში მიაქვთ).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქმის ყოველ სოფელს ჰყავს თავისი საკუთარი მფარველი ხატი. გარდა ამისა, ზოგიერთი ხატი ხევსურების განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს. ესენია სოფელ გუდანსა და ხახმატში, აგრეთვე კარატის ჯვარი სოფელ ლიქოკში. სამივე დასახელებული ჯვარი წმინდა გიორგის სახელს ატარებს და, პირველ რიგში, მათ მიიჩნევენ თავიანთი მიწა-წყლის მფარველად და პატრონად. ყოველი ხევსური არის წმინდა გიორგის ყმა და მსახური (Diener und Schuldern). ისინი შემდეგი სიტყვებით ილოცებიან: „გწყალობდასთ წმინდა გიორგი!“ (Beim heiligen Georg!) ამ მებრძოლ წმინდანს არაერთი ხევსურული ანდრეზი (Sage) უკავშირდება. რადე მოგვითხრობს, რომ ერთხელ, როცა ქაჯებმა ხევსურების ნახირის გარეკა სცადეს, წმინდა გიორგიმ ქაჯები განდევნა, ნახირი ხახმატში უსაფრთხოდ დააბრუნა და მათი დაცვა თავის მწევრებს (der Windhund) დაავალა. ამის მოსაგონებლად ხახმატში მსხვერპლს სწირავენ როგორც წმინდა გიორგის, ისე მის მწევრებს.

დასახელებულ წმინდანს მიიჩნევენ არა მხოლოდ ნახირის დამცველად, ქაჯების წინააღმდეგ მებრძოლად, არამედ, მათი რწმენით, ის კურნავს ადამიანებსა და პირუტყვს ავადმყოფობისგან, ანიჭებს ნაყოფიერებას ცხოველებს. მფარველობს თავის ერთგულებს სისხლის აღებაში და როგორც კი მოუხმობენ დასახმარებლად, ეხმარება ყალბი ბრალდებისაგან დაცვაში. წმინდა გიორგის მიაწერენ მზის ღმერთის ფუნქციასაც, რომლის ტახტიც დგას მაღალ მთაზე. მის სამსახურში იმყოფებიან დევები. როცა ხალხი ღმერთის წინაშე შესცოდავს, მზე გიორგი დევებს ზღვისკენ გზავნის, რათა ისინი სეტყვის მარცვლებით დატვირთული უკან დაბრუნდნენ და დამნაშავეთა მინდვრები დასეტყვონ. ასე, სეტყვის შედეგად ხშირად ღარიბებს მთელი წლის სარჩო ეღუპებათ. იმისათვის, რომ წმინდანი კეთილად განაწყონ და სეტყვას გადაურჩნენ, ხევსურები ივნისიდან მოყოლებული მოსავლის აღებამდე ორშაბათს, პარასკევსა და შაბათს უქმობენ. ისინი ირჩევენ კონკრეტულ პირებს, რათა თვალყური ადევნონ, რომ ეს აკრძალვა არავინ დაარღვიოს. გარდა ჯვარ-ხატებისა, ამ წმინდანს (ausser in den Chatis huldigt man diesem Heiligen), რომელსაც, სხვათა შორის, ყველა ქართველური ტომი, როგორც მთავარ პატრონს, ყველაზე მეტად სცემს თაყვანს, განსაკუთრებულ ტაძრებშიც (in besonderen Kapellen) მსახურობენ. ეს ტაძრები კი აღმართულია განსაცვიფრებელ სიმაღლეებზე. ხალხი სალოცავად და მსხვერპლის შესაწირად იქ წელიწადში ორჯერ ადის.

ამ კუთხეში ხახმატისა და გუდანის ჯვარი არის უძველესი. ყველა, სახელდობრ კი, სამი დასახელებული მთავარი ხატი, გარდა საკუთრივ განძეულობისა, ფლობს უამრავ მამულს: მიწებს, მინდვრებს, ტყეებსა და საძოვრებს. იქიდან ისინი ღებულობენ შემოსავალს. გუდანის ჯვარს ეკუთვნის ხილის დიდი ბაღები და ვენახები კახეთში – ახმეტაში. ასევე, ხახმატის ჯვარი ფლობს ვრცელ, საუკეთესო საძოვრებს ანდაქის გადასასვლელზე. ხევსურებს ჩვეულებად აქვთ ხატისთვის ხშირად საკუთარი მიწის უძვირფასესი ნაწილის შეწირვა. ასე რომ, ხატის სიმდიდრე დღეს კიდევ იზრდება.

საკულტო ნაგებობის სიწმინდისა და იქ მდებარე შენობების შენარჩუნებისთვის მთელი მოდგმა ზრუნავს და თემის თითოეული წევრი ირჯება. ხატი კი მფარველობს საყმოს (Dafür beschützt wieder der chati das Geschlecht). ხატი თავისი შემოსავლიდან ფარავს თემის გადასახადს, რომელსაც რუსეთის მთავრობას უხდიან და, რაც მთავარია, დიდი დღესასწაულების ხარჯებს. ხატსა და მის სამფლობელოს ემსახურება თემის თითოეული წევრი, რომელმაც გადააჭარბა თვრამეტი წლის ასაკს. ხატის მამულებში მიწის სამუშაოებისა და მოსავლის აღებას მორიგეობით ასრულებს შულტა. თითოეული კონკრეტული მიწის ნაკვეთს ამუშავებს და ამისთვის ჩვეულებრივ შაბათია დაწესებული...

* * *

მეთორმეტე საუკუნის მიწურულს, როდესაც საქართველოს ცნობილი მეფე თამარი განაგებდა, ხევსურეთი ქვეყნის შემადგენლობაში შედიოდა და მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ამ დედოფალს საპატიო ადგილი უკავია ხევსურულ თქმულებებსა და სიმღერებში. გადმოცემა მას ქვეყნის უდიდესი სიწმინდის ხახმატის ჯვრის აგებას მიაწერს. ჯვარში შენახულ ოქროსა და ვერცხლის სასმისებს შორის რამდენიმეს ჰქონია ძველი წარწერა, რომელიც მათ წარმომავლობას გვამცნობდა. ეს თასები თოთხმეტი წლის წინ გაუტაციათ. ქართველი სწავლულის ბერდია შულავიშვილის ცნობით, ხახმატის ჯვრის ერთ-ერთ წახნაგზე ყოფილა წარწერა იმის დასტურად, რომ ეს სალოცავი ოდესღაც თამარ მეფეს აღუმართავს. ანატორის უძველესი აკლდამები, ხევსურული სიმღერების მიხედვით, ამ დედოფალმა ააგებინა და ისინი, გადმოცემით, შესაძლოა, თავდაპირველად ცხენების თავლად იყო განკუთვნილი. ქართულ ისტორიულ ქრონიკებში ამ კუთხეზე სხვა მნიშვნელოვან ცნობებს ვერ ვხვდებით, რადგან ქართველთა მბრძანებლობა იქ მხოლოდ დროებით მოხერხდა. რასაკვირველია, ამ უნაყოფო და მწირ მხარეზე, თანაც თავაშვებულ, თავისუფლებისმოყვარე მცხოვრებლებზე არც ღირდა ბატონობა სისხლისღვრის ფასად.

როცა ჩვენ მცირერიცხოვანი ხალხის, ხევსურების უცნაურ ხასიათს ვაკვირდებოდით, აღმოჩნდა, რომ მათ თავისებურ საზოგადოებრივ განვითარებაზე, მათ ყოფაზე ყველაზე მეტად სამი ფაქტორი ახდენდა გავლენას: ადგილობრივი ლანდშაფტი, მესისხლეობის წესები და განსაკუთრებული რელიგიური წარმოდგენები.

მათთვის დამახასიათებელი უჩვეულოდ მებრძოლი სული, უწინარეს ყოვლისა, ზემოხსენებული ფაქტორებიდან მომდინარეობს. დღემდე არც ერთი ხევსური არ ტოვებს თავის სახლს რაინდული აღჭურვილობის გარეშე. სხეულის ზედა ნაწილი დაფარული აქვთ ჯაჭვის პერანგით, ხელები – სამკლავეებით, თავზე ახურავთ პატარა, მრგვალი, ოდნავ ჩაზნექილი ლითონის დისკო, თხემზე ჩამოწეული ლითონის ბადით. ერთ ხელში გრძელი, სწორი დაშნა უჭირავთ, მეორეში – პატარა, მრგვალი ლითონის ფარი. ქამარზე კი ხანჯალი ჰკიდიათ. დღემდე ხევსურმა იარაღით მძიმედ აღჭურვილი შუასაუკუნეების რაინდივით მოაღწია. ეს აღჭურვილობა, ისევე როგორც მათი უცნაური ორნამენტებით ჭრელად მორთული ტანსაცმელი, მკერდზე და მხრებზე ამოქარგული ჯვრებით, საბაბს გვაძლევს ვირწმუნოთ, რომ ხევსურები აქ მოხვედრილი ჯვაროსნების შთამომავლები არიან (ავტორი იმოწმებს გ. რადეს. ხ. მ.). მათ შეიარაღებას ჯერ კიდევ ძველ დროში დაემატა მშვილდი და ისარი, ახალ დროში კი ცეცხლსასროლი იარაღი, დენთი და დამბაჩა. ამჟამად ყველაზე პოპულარული იარაღი საცერულია. იგი რკინის ან სპილენძისგან დამზადებული გლუვი ფორმის მრგვალი იარაღია, ირგვლივ გალესილი, წაგრძელებული კბილებით. მას მარჯვენა ხელის ცერზე იკეთებენ. არაერთი ხევსური მამაკაცი მინახავს საცერულით დაჭრილი. ამ ბარბაროსულ ინსტრუმენტს დღესაც იყენებენ. იქ იშვიათად ნახავთ საცერულით დაუზიანებელ მამაკაცის ცხვირს.

ხევსურები ყველგან დაატარებენ იარაღს, მინდვრის სამუშაოზე, მთებსა თუ ხეობებში შორეული მგზავრობის დროს; მაშინაც, როცა პირუტყვი მაღალ საძოვრებზე მიჰყავთ და მაშინაც, როცა იქიდან მოერეკებიან. მას დაატარებენ თვით საკულტო ადგილებშიც კი. ამ მძიმე იარაღის გარეშე ხევსური წარმოუდგენელია. ფარიკაობას ხევსურები ადრეული ყმაწვილობიდან სწავლობენ. ბიჭები დგნალისაგან დაწნული ფარითა და ხისგან გამოთლილი ხმლებით ვარჯიშობენ. საოცარი და არაჩვეულებრივია მამაკაცების სიმარჯვე ფარიკაობაში. თავიანთი სიმამაცით ხევსურები შორეულ მეზობლებსაც კი შიშის ზარს სცემდნენ. რუსებისთვის, რომლებიც დაღესტნელი მთიელების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ხევსურები ძვირფასი მოკავშირეები იყვნენ. კენჭნაობა იყო მათი ტრადიცია და ეს წესი სისხლში აქვთ გამჯდარი.

ისინი გამუდმებით ვარჯიშობენ. ქეიფი ტრადიციულ დღესასწაულებზე, ჩვეულებრივ, ერთმანეთთან კამათით მთავრდება. ჩხუბი საცერულის გამოყენებამდეც მიდის, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, მძიმე ჭრილობის მიყენება სირცხვილად ითვლება. არარაინდულია, როცა ვინმე საკუთარ მკლავს მარჯვედ ვერ ფლობს. მსუბუქად დაჭრა დასაშვებია და დაღვრილ სისხლს დამნაშავის გვარი ზღავს.

ამ ხალხში მებრძოლი სულის ჩამოყალიბება უკავშირდება სისხლის აღების წესს, რაც, სხვათა შორის, ხევსურებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი და მძიმე შედეგებიც მოაქვს თემის წევრებისთვის. ნაშრომში მოგვიანებით მოგითხრობთ, თუ რამდენად მძაფრი და ძლიერი იყო სოლიდარობა ერთი თემის წევრებს შორის. ყველა სიტუაციაში თემს თავისი წევრის ინტერესები უნდა დაეცვა, ბედნიერ დღეებში კი მისი სიხარული გაეზიარებინა...

...სისხლის აღების ადათი წარმოდგენას გვიქმნის ხევსურებში მებრძოლი ხასიათის ჩამოყალიბებისა და ნებისმიერ დროს მათ საომარ მდგომარეობაში ყოფნის მიზეზებზე. ხევსურების მუდმივ საომარ მზადყოფნას განაპირობებდა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობაც. ხევსურეთს ჩრდილოეთიდან უშუალოდ ესაზღვრება ყაჩაღი და შფოთისთავი ჩეჩნების აულები. ქისტების მამაცი ტომის დღემდე ეშინიათ მათ ირგვლივ მცხოვრებ მთის ხალხებს. ჩეჩნები მიაჩნიათ ცხენების მარჯვე და მოხერხებულ ქურდებად, როგორც მე თავად დავრწმუნდი, სამართლიანადაც. ამ მიზეზით აქვთ ხევსურებს ქისტ მეკობრეებთან მუდმივი მტრობა; გარდა ამისა, ისინი სხვადასხვა რელიგიას აღიარებენ. ქისტები, ისევე როგორც ყველა ჩეჩენი, ფანატიკოსი მაჰმადიანები არიან (Die Kisten sind wie alle Tschetschenen fanatische Muhamedaner). განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობა ორი ხალხის ურთიერთობაში სიძულვილისა და მტრობის მიზეზი ხდება. ალბათ, არასოდეს შეწყდება მათ შორის შუღლი. თითქმის ყველა ხევსურულ სოფელში ახლაც ნახავთ ქავის კარზე მიჭედილ ხელებს, რომლებიც მოკლულ მტერს მოაჭრეს და გამარჯვებულებმა, როგორც სამხედრო ნადავლი, შინ წამოიღეს.

ხევსურებს გამუდმებული სისხლისმღვრელი ბრძოლები ჰქონდათ არაგვის ერისთავებთანაც. ამ უძლიერესმა ფეოდალებმა არაერთხელ დალაშქრეს ხევსურეთის მთები. ზეპირსიტყვიერებაში განსაკუთრებით ხშირად ხსენდება სასტიკი ზურაბ ერისთავი, რომელიც თურმე ბავშვებსაც კი არ ინდობდა. მაჰმადიან მთიელებთან რუსეთის ხანგრძლივი ომის პერიოდში ხევსურებსაც განუწყვეტელი ბრძოლა ჰქონდათ ჩეჩნებთან და მათ მოკავშირე ლეზგიურ ტომებთან. ამიტომ, თავდაცვის მიზნით, საცხოვრებლად ირჩევდნენ მიუვალ ადგილებს,

მთაგრეხილის ციცაბო კლდეებზე გადმოშვერილ კონცხებს. სახლებს ერთმანეთზე მიჯრით, საფეხურებრივად აშენებდნენ. მიუდგომელ სიმაღლეზე ქვის კედლებს შავი ფიქალისგან საოცარი ოსტატობით, ყოველგვარი შესაკავშირებელი ხსნარის გარეშე აგებდნენ. მიუხედავად ამისა, სამშენებლო მასალა ერთმანეთზე ფენებად ისე მტკიცედ და უნაკლოდ აწყვია, რომ უმნიშვნელო ხარვეზსაც ვერ უპოვით. განსაკუთრებით განგვაცვიფრა თავდაცვითი ხასიათის 20-25 მეტრი სიმაღლის კოშკებმა, რომლებსაც თითქმის ყოველ სოფელში ერთი ან რამდენიმე კომლი ფლობს. ხევსურული კოშკები სვანურისგან მეტი ელეგანტურობით გამოირჩევა. მართალია, ხევსურულ კოშკს ძირში კვადრატული პროექცია აქვს, მაგრამ ზემოთ ისე პროპორციულად ვიწროვდება, რომ „ტანწერწეტა" და მშვენიერია, ამასთანავე, არაჩვეულებრივად მტკიცეც. ქვის კედლები უნაკლოდ, უხორკლოდ და ზუსტად არის ნაგები. არასტანდარტულ რუხ სიპის ქვებს შორის უმცირესი სიცარიელეც კი არ რჩება. კოშკის სახურავი წვეტიანია, კონუსის ფორმის, ოდნავ დახრილი გვერდებით. სახურავს თითქმის მთლიანად სიპი ქვებისგან აკეთებენ. სახურავის გარეწახნაგი თანაბრად არის ამობურცული. ყოველი კოშკი ოთხსართულიანია, რომელთაგან ორი საბრძოლო დანიშნულებისთვის – სასროლად არის განკუთვნილი. ზედა ორ სართულს თავდაცვის მიზნით ვიწრო აივანი და მოძრავი ხის ჩამოსაწევი დარაბა აქვს.

ყოველი საცხოვრებელი სახლი, ოდნავ წინ წამოწეული სწორი სახურავით, რამდენიმე სართულისგან შედგება. ისინი ისეა აგებული, რომ ერთი სახლის სახურავი მეორისთვის შესასვლელია. ამდენად, დასახლება, თავისი შავი, სიპი ქვის მაღალი კედლებით შენობათა ერთგვარ კონგლომერატს ქმნის. კედლებს აქა-იქ პატარა ნახვრეტები და სათოფურები აქვს დატანებული. ეს მასშტაბური კომპლექსი მნახველზე ძველი, შუა საუკუნეების ციხესიმაგრის, ყაჩაღებისა და რაინდების ბუდის შთაბეჭდილებას ტოვებს. სოფლების მდებარეობა და სახლების არქიტექტურული სტილი შერჩეული იყო პრაქტიკული მიზნებისთვის, რათა იქ მცხოვრებლებს მტრისთვის მარჯვედ გაეწიათ წინააღმდეგობა.

ყოველი სახლის პირველ სართულს საქონლის სადგომად და სამეურნეო იარაღის შესანახად იყენებენ. ზედა სართულზე განთავსებულია ოჯახის საცხოვრებელი დარბაზი. იქ ყველაფერი პრიმიტულია და მხოლოდ ყოველდღიური არსებობისთვის საჭირო ნივთებს დაინახავთ. დარბაზის კედლები მჭვარტლით არის დაფარული, რადგან სახლს საკვამური არა აქვს. ფანჯრები იშვიათად გვხვდება. მათ ნაცვლად კედლებში საჰაერო ნახვრეტები და სათოფურებია დატანებული. ცენტრალურაფრიკელი ზანგების საცხოვრებლები ხევსურების ბინებ-

თან შედარებით სისუფთავისა და კომფორტის ნიმუშად შეიძლება მოგეჩვენოთ.

გეოგრაფიული მდებარეობით ხევსურეთის ფართობი არ მოიცავს ვრცელ ტერიტორიას. მაღალმთიანი ქვეყანა არც ნაყოფიერი მიწებით გამოირჩევა. იქ დიდხანს გრძელდება ზამთარი და ხანმოკლეა ზაფხული. მათ საქონლის გამოსაკვებადაც კი არ ჰყოფნით საძოვრები, რომლებიც მაღლა, ციცაბო მთებზე მდებარეობს. ხანგრძლივი ზამთრის მანძილზე პირუტყვის გამოსაკვებად თივა მძიმე შრომითა და ჯაფით მაღალი მთებიდან ჩამოაქვთ. ხორბლეულს შორიდან ეზიდებიან და მას ყველზე, კარაქსა და მატყლზე ცვლიან.

პატარა, მკაცრ და პირქუშ ქვეყანას მცირერიცხოვანი მოსახლეობა ჰყავს, რისი მიზეზიც შეიძლება მათი უაღრესად უცნაური წესჩვეულებებიც იყოს.

გერმანულიდან თარგმნა ხვთისო მამისიმედიშვილმა

PUBLICATION

Gottfried Merzbacher

On the Ethnography of Eastern Georgian Highlands

Chapter 27 of *Aus den Hochregionen des Kaukasus* by Gottfried Merzbacher (1843-1926), a German researcher, traveller and alpinist, describes the community of Khevsurs, one of the Georgian tribes. The Khevsurs are presented as a religious community united around a patron deity. The sanctuary, which was the core of the community, used to cement around itself each member of the community so that moving to a different community would mean for a Khevsur the loss of ties with the shrine of his forefathers. The shrine was important in all fields of social life; no decision was taken without its interference. The verdict of the patron angel revealed to the community through the cult servant had a decisive power in peace and welfare as well as in crisis. The author describes in detail the social and cult life of the Khevsurs, the hierarchy of cult servants, the community flag, vessels used in cult service, beer as the festival drink donated by the parish as a token of gratitude and loyalty, etc.

Merzbacher's description is valuable not only because it is one of the early descriptions of the cult life of the Khevsurs but it also is an account of vernacular lifestyle from a foreigner's perspective.